საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2013 წლის 31 დეკემბრამდე რესურს ცენტრების მეშვეობით.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი.

## 8. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის ან რესურს ცენტრის მიერ უფლებამოსილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

9.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

9.2.2. მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

9.2.3. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა საქონლის ღირებულების ოდენობით.

10.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საქონლის ღირებულების 0.1 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.